

# მეცემსი

მწყემსან კეთილან სული  
თვისი დასდის ცხოვართათის.  
იონ. 10—11.

№ 8

1883—1907 წ.

30 აპრილი

## შ ი ნ ა ა რ ს ი.

**სალიტარატურა განყოფილება:** ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომა, დ. დ. ლამაზიძის.— შესანიშნავი მოწყალებითი რეფორმა უწმიდესი სინოდისაგან ბოძებული საქართველოს ეკლესიისა და სამღვდლოების საკეთილდღოდ, სოფლის ხუცესის.— მცირე შენიშვნა, გაზეთ „ისარში“ მოთავსებული ბ ს. ა-ს დღიურის გამო, მიუღგამელის.— სახელმწიფო სა-თათბირო.— იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დებუტატების უკანასკნელი კრების მოქმედების შესახებ, დამსწრესი.— შიმშილი კაკასიაში.— მოძრაობა სპარსეთში და ფერეიდანის ქართველობა.— ვიი იმ საზოგადოებას რომლის საქმე ტენ-ლაყ კაცებს ჩაუფარდებათ ხელში, დ. დ. ლ.— ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მშენიარება ქრისტიანობაში სარწმუნოებასა და კეთილ-წინადაცა:** მეორე მცნება, ი. ბა-ლუევის, საეკლე კითხვების განმარტება.



### ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომა.

ქრისტეს აღდგომა ცხადად ამტკიცებს, რომ იგი არის ღმერთი, და რომ სარწმუნოება ჩვენი ქრისტესადმი ამაო საქმე და მოტყუება არ არის; არამედ არის ჩვენი დამსახურება და საფუძველი ნეტარებისა. (კორ. 15, 17).

ქრისტემ აღდგომითა თვისითა სძლია ჩვენი ცხოვრების მტერთა; ჩვენ გვიხსნა მან სიკვდილისაგან და მისი წყაროისა— ბოროტისაგან, ეშმაკის უფლებისაგან და წყევლა— კრულისაგან. იმან გამოიყვანა ჯოჯობებისაგან ყოველნი კეთილ-შინაურნი

მასშინა მყოფნი, რომელნიცა მოელოდნენ მის. იგი აღსდგა ჩვენი გამართლებისთვის. (რომ 4, 25)

აღდგომა ქრისტეცა არის წინდი ჩვენის აღდგომისა საუკუნო ცხოვრებისათვის. იგი გვანუგეშებს და გვიამბობს ჩვენ ამა ქვეყნის მშუბარებასა, უსიამოვნებასა და ხალხის უთანასწორო ცხოვრებასა შინა, როცა მაგალითებრ მართალი იტანჯება და სიღარიბეს ითმენს, ხოლო უსჯულო კეთილდღეობს. აღდგომილმა ქრისტემ განგვიღო ჩვენ სამოთხის კარები, და აღიყვანს მორწმუნეთა ცათაშინა.

აღდგომილი ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში გამოეცხადებოდა მოწაფეთა თავისთა და ისწავებდა მათ ღვთის სასუფვეტოზე, ეკლესიაზე და თავის ეკლესიის მომავალზე.

„აღდგომისა დღე არს განვრწყინდებოდეთ ღვთისაწაულსა ამას და ურთიერთ შევიტყობთ, და ვსთქვათ ძმათა ჩვენთა, მოძულეთაცა შეუნდოთ ყოველი აღდგომისა, და ღვთიებრწყინვალედ ღაღადყუთ: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, და სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნა, და მყოფთ საფლავსა ცხოვრება მიმალდა!

დ. დ. დ.—ქე.





### შესანიშნავი მოწაღვარებითი რეპორაჟი უწყინ- დანი სინოდისაგან ბოქსაშული საქართველოს ეპარქიისისა და საზოგადოების საქითილ- დამოდ.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ წარსული წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს ოთხი კუთხის მღვდელთმთავრებმა და რამდენიმე დღეგატების სახელით გამოცხადებულმა სამღვდელთმთავრებმა თავი შეიკრიბა, ღვთისაგან კურთხეულს თფილისის ქალაქსა შინა და დიდებულის ცერემონიით ახსნეს ბოიკოტი, როგორც, როგორც თფილისის ზოგადი მიმები განაცხადებდნენ, არაფრისთვის არაფის გამოუცხადებია. ამ კრებას, როგორც ამბობენ, (საზოგადოებას კი დღემდის არა გაუგია-რა) ჰქონებია მსჯელობა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. ქართველების მღვდელთმთავრებს და ზემოდ აღნიშნულთ „დღევანდელს“ შეუდგენიათ ოქმი და ექსარხოსისთვის წარუდგენიათ. ექსარხოსსაც მოწყალეობით მიუღია და უბრძანებია, რომ ამისთანა დიდი თხოვნის აღსრულება მის უფლებებს აღემატება და ღმირება მათ სინოდში წარუდგენას. შემდეგ სადარბაზოდ მიუღია ყველანი და ასე დაკაცოფიერებულნი ყველანი მღვდელთმთავრები და „დღევანდლები“ წაბრძანებულან სახილ თვისად. 24 ოქტომბრის მღვდელთმთავრების და „დღევანდლების“ ოქმი საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენაზე რაპორტით წარუდგენილ არს სინოდში მათი მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობის ექსარხოსის ნიკონისაგან. ოქმის შემდეგ უკვე აცნობა სინოდმა საქართველოს შემდეგი უქაზით: „უქაზისამებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა უწყინდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინეს: თქვენი ყოვლად უსამღვდლოესობის წარმოადგენა 24 ოქტომბრიდან 1906 წელსა № 3688 ორი თხოვნით თფილისის ქალაქში მოხდენილ კერძო კრების მსჯელობაზე ობ მღვდელთმთავრებისაგან და სასულიერო წოდების საექსარხოსის ვარკიებიდან აღრჩეულ რუმუნებულ დღევანდლებთან ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ და ეხლანდელ ძნელ მდგომარეობაზე საქართველოს ეკლესიის მწყემსთა და სამწყსთა დამოკიდებულებაზე. გზმანეთ: განვიხილეთ რა მოხსენებული წარმოადგენილობა, უწყინდესი სინოდი განაჩენს: 1) იქმნეს შემოღებული საექსარ-

ხოსოს ვარკიებში ბლაღოინების კენჭით აღრჩევა საბლაღოინო ოლქის სამღვდლოებისაგან იმ პირობით, რომ აღრჩეულნი ამ თანამდებობაზე კანდიდატები წარუდგენილ იქმნენ დასამტკიცებლად ვარკიის მღვდელთმთავართან, და 2) იქმნეს ნება დართული აღნიშნულ ვარკიებში დანიშნვა სამღვდელთა და საეკლესიო მოსამსახურეთა თანამდებობაზე მრევლის აღრჩევით, თქვენი უ-ღ უსამღვდლოესობის მოხსენებთა საფუძვლად, და სახელდობრ: თითოეული მრევლი თავისი სურვილით ირჩევს, თუ ისურვებს, გამოარჩევს კანდიდატს თავის ეკლესიის კრებულისას და წარუდგენს მას ეპისკოპოსს. თუ ეპისკოპოსი დინახავს, რომ აღრჩეული კანდიდატი შესაფერისია გონებითი განათლებით და ზნეობითი მხრით, მაშინ განაწყენებს მას, ხოლო თუ დინახავს მას არა შესაფერისად, მაშინ უარს გამოუცხადებს მრევლს, და მათგან წარუდგენილ კანდიდატსაც უარს უცხადებს თხოვნაზე და მისცემს წინადადებას მრევლს მოსძებნონ, თუ სურსთ, სხვა კანდიდატი და ასე მოიტყვევან სამი თვის განმავლობაში ადგილის დაცლილად. თუ სამი თვის განმავლობაში მრევლი ვერ წარუდგენენ რიგთან კანდიდატებს მაშინ ეპისკოპოსი გაგზავნის მოსამსახურეს თავის აღრჩევით, და მრევლიც უნდა დაემორჩილონ ეპისკოპოსის ნებას, ან უნდა დარჩენ კრებულის უწყევროდ და უმღვდლოთაც. ამასთან ეს აღრჩევითი წესი იწყება და შედის ძალაში ეს დადგენილება იმ სამრევლოში სადაც ადგილი დაიცვლება ეპისკოპოსის და თვით სამღვდლოების ნებით და არას გზით არ გაერკულდება სხვა დღევანდელ არსებულ სამრევლოთა სამღვდლოებაზე. წინეთ ეპისკოპოსისაგან დანიშნულებზე. ერთხელ აღრჩეული წვერი კრებულისა მრევლს არ შეუძლია დაითხოვოს თუ თვითონ არ წავა ან თუ სასულიერო მთავრობისაგან არ იქმნება დათხოვნილი.“

ეს შესანიშნავი უქაზი სინოდისა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიობის აღდგინების შესახებ, რასაკვირვებლია, შეუტყვევია თურმე რუსეთის სამღვდლოებას და მეტის-მეტად გულ დაწყვეტილნი დარჩენილა... ქართველების „დღევანდლების“ თხოვნამუდარება შეიწყნარა სინოდმა და მიანიჭა რეფორმები! დიად, სინოდი განსაკუთრებით ზრუნავს ქართველებისათვის, თორემ რატომ არ მიანიჭეს რუსეთის სამღვდლოებას ამისთანა რეფორმები?..





იმერეთის ეპარქიის დელეგატები სრულებით არ მიკარგებიან თფლისში შეკრებილ „დელეგატებს“ და არ მიუღიათ მონაწილეობა არც ბოიკოტის ასხნის საქმეში (ან კი როგორ უნდა აეხსნათ ბოიკოტის როლი არაგვის შეუკრავს, როგორც თფლისის სამღვდლოებმა ბეჭდვითი სიტყვით განაცხადა, ბოიკოტი არაგვის გამოუცხადებია). მაგრამ იმერეთის ეპარქიის დელეგატები ჯეროვანად იქნებიან განკიცხულნი ამ გამოკლებისათვის და მოკლებულნი იქნებიან იმ ქება-დიდებას, რომელსაც დამსახურებენ საზოგადოებისაგან ამ რეფორმის შემოღებისათვის ქართლ-კახეთის „დელეგატები“. სოხუმის ეპარქიიდან დელეგატები არ ყოფილან ვაგზანფილი, იმერეთის ეპარქიიდან არაგვის ყოფილა და რატომ არის მოხსენებული სინოდის უქაზში „მივიღეთ მხედველობაში საქესპარხოსიოის ყველა ეპარქიების სამღვდლოების რწმუნებულთაგან“-ო? აღბან დელეგატების მაგიერ მღვდელთ-მთავრების მოხსენებას დაემყარა სინოდი. მაგრამ დასაჯერი არ არის, რომ მღვდელთ-მთავრების და „დელეგატების“ მოხსენება ამ რეფორმის შემოღების შესახებ ისეთი მოუფიქრებელი და უნიდადგო ყოფილიყოს... თუ მართლა მღვდელთ-მთავრებმა და დელეგატებმა მართლა ის ითხოვეს, რომ ქართველების ეკლესიის საბედნიეროდ ბლაღოჩინების კენჭის ყრა შემოიღეთა და მრევლს ნება მიეცეთ კრებულის წევრები აირჩიონო, რასაკვირველია, სინოდმაც აასრულა მათი თხოვნა.)\*

მე უღირსმა სოფლის ხუცესმა რა ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ მღვდელთ-მთავრებს და განათლებულ „დელეგატებს“ პირველად უნდა განემარტებიათ: ვის ექნებოდა საეკლესიო და სამღვდლო მოსამსახურის კანდიდატად ჩარიცხვის უფლება და როგორი კაცები უნდა აერჩია მრევლს, და მეორე კითხვა, ურომლისოდ მრევლისაგან სამღვდლო კანდიდატის აღჩიევა ყ-დ შეუძლებელია, —გახლავსთ სარჩო, ჯამაგირი და ბინა ეკლესიის მოსამსახურეთა. სანამ ეს ორი კითხვა გარკვევით არ იქნება გარდაწყვეტილი მანობამდის ყოველი რე-

ფორმა ფუჭი იქნება და ისეთ უსიამოვნებას გამოიწვევს მრევლსა და სასულიერო წოდებაში, რომელიც უმეტესად გაამწვევებს ეკლესიის საქმეს. სინოდალნი კანტორის უქაზით კრინტის დაძვრა არ შეიძლება საკანდიდატო კაცისაგან სარჩოს და დრამის შესახებ. როგორც გავს კანტორას ჰკონია, რომ მღვდლები დრამას უკლვლად იღებენ და, ემუქრება კიდევ კანდიდატს, თუ რამე მოუკლო დადებულ გადასახადს დათხოვნილ იქნებოა! მრევლი, რომ სრულებით აღარაფერს აძლევს მღვდლების უმეტეს ნაწილს ეს, სინოდის კანტორას, ჰგავს, ჯერეთ არ გაუჯია!..

მღვდელთ-მთავარმა თუ არ მიიჩნია მრევლისაგან აღჩიეული კანდიდატი შესაფერისად შეუძლია უარი უთხარას მრევლს და არ აკურთხოს მათგან აღჩიეული კანდიდატიო. თუ სამ თვეში ვერ აირჩიეს ყ-დ სამღვდლოს მოსაწონი კანდიდატი მერე მღვდელთ-მთავარი ირჩევს მათთვის კანდიდატს და უგზავნის მრევლს. ეს მღვდელი თუ მრევლი არ მიიღო როგორ უნდა მოიქცეს იგი და სად წავიდეს? აღბათ სტრატეგებს გააყოლებენ და ძალით შეიყვანებ მრევლში, მაგრამ დასთანხმდება ასე ძალით სამრევლოში შესვლას მღვდელთ-მთავრისაგან ვაგზანფილი—ახლად ნაკურთხი მღვდელი? ერთი სიტყვით არავითარი მნიშვნელობა სამღვდლო კაცების აღჩიევას მრევლთაგან არ ექნება სანამ დაკანონებული არ იქნება ვის შეუძლია მღვდლობის კანდიდატობა და ამასთან სამრევლოსაგან სამუდამოთ გარდაწყვეტილი არ იქმნენა მღვდლის სარჩო და ბინა. სხვა რა ნაკულუფენება აქვს ამ რეფორმას სრულებით უყურადღებოდ ვსტოვებთ მანობამდის სანამ ეს ორი შესანიშნავი შეცთობა არ იქნება გასწორებული..

რომ ცოტა გამჭირაბოზა გამოეჩინა ოკდომბერში შეკრებილ „დელეგატებს“ და 1905 წლის დეკემბრის თვეში შეკრებილი დელეგატებისაგან შედგენილი პოპექტი მრევლისაგან ეკლესიის მოსამსახურეთა არჩივის და სარჩოს შესახებ ამოეწერათ და წარედგინათ ძლიერ კარგს იზამდენ. მთავრობა თუ დაკანონებდა იმას რაც დელეგატებმა დაადგინეს მაშინ საქმე კარგად წავიდოდა. დღეს სულ სხვაა. პირველი კითხვა ეკლესიის მოსამსახურეთა ბინა და სარჩოა და ეს სრულებით უყურადღებოდ არის დატოვებული—ვინ უნდა წავიდეს რიგინი მღვდლად თუ სარჩო და ბინა არ ექნება?

\*) ხომ მოგვსენებთ დიდი განათლებული პროფესორები, ბუტყევი—ალაზხო—ტიტოვ—ბრუნდიკოვოვები განაცხადებენ, რომ ჩვენ ღვთის გვეშინია, რომ პასუხი არ ვაგოთ საშინელს ვანჯაჯოზე და ამისათვის საქართველოს ეკლესიას ვერ გავუშვებთ და ჩვენს მზრუნველობას ვერ მოვაკლებთო... ჩვენ, რომ მივატოვებთ და რამე უბედურება შემთხვევით აღმოსო რა პასუხი მივსცეთო?..



რაცა შეეხება ბლაღოჩინების აღრჩევის კითხვას, ჩვენის აზრით, პირველად უნდა გარდაწყვეტილიყო შესაფერისი ჯამაგირები ამ თანამდებობის ამსრულებელთათვის, რადგან ცოტა შრომას არ ითხოვს ბლაღოჩინებისაგან მათი თანამდებობის ასრულება და შემდეგ კენჭით აღრჩევა დაკანონებულიყო. სინოდის კანტორამ ალბათ იცის განსვენებული ეპისკოპოსის ბესარიონის დროის ამგები ბლაღოჩინების თანამდებობის ყიდვის შესახებ!..

უწიდედსმა ლეონტიმ თხოვნა-მუდარებას სინოდმა შეიწყნარა დელეგატების თხოვნა-მუდარებას ბლაღოჩინების კენჭის ყრით აღრჩევის შესახებ და ბრძანა: იქმნეს ბლაღოჩინები კენჭის ყრით აღრჩეულიო. კანტორის განმარტებით კი ბლაღოჩინების აღრჩევის საქმე ძლიერ ცუდად არის დაყენებული, რამდენადაც გვახსოვს სამღვდელთა თხოვილობა, რომ საბჭოები დაარსებულიყო და საბლაღოჩინო ყოველივე საქმე საბჭოებს გაერჩიათ და მოეხსენებიათ მღვდელთათვის და სხვა დაწესებულებათათვის, ამასთან საბჭოს წევრები სამი ან ოთხი წლით უნდა აღრჩეულ იყვნენ. უმეტესი ხმით არჩეული დანიშნულიყო საბჭოს თავმჯდომარედ. მაგრამ ამის მაგიერ ოკდომბრისტ დელეგატებს ეს სამღვდელთა თხოვნა არ შეუწყნარებიათ და სამი პირის არჩევა გარდაუწყვეტიათ, მაგრამ მესამე პირი ბლაღოჩინის თანამშრომლის კანდიდატი უნდა იყოს. ამასთან საუმჯობესოდ დაუნახავთ, რომ ბლაღოჩინი ერთხელ არჩეული დარჩება სანამ არ გარდაიცვლება!.. უქაზში სრულებით არაფერია ნათქვამი რამდენი ხნით დარჩება აღრჩეული ბლაღოჩინი თავის თანამდებობაზე. თუ მართლა ღმერთი გაწყრა და სამუდამოდ დარჩა არჩეული ბლაღოჩინი ბევრად აჯობებს, რომ სულ არ იქნეს კენჭის ყრა შემოღებული. მღვდელთათვისაგან აღრჩეულს ან უჩივლებს და ან ხათრიანად მოეკიდება ყველას თვით ბლაღოჩინი და როცა თვითონ ირჩევის სამღვდელთაგან მაშინ კრისტის დაძვრა აღარ შეუძლია! სადაც კენჭის ყრა არის შემოღებული იქ ყველგან ვადით ირჩევიან და რაღა ჩვენთვის უნდა მოისპოს ეს მკირე უფლება?.. საბჭოების დაარსებაზე არაფერი არ არის მიღებულ უქაზებში... ამბობენ, რომ სამღვდელთაგან არჩეულს ბლაღოჩინის ერთ-ორი წლის შემდეგ მღვდელთა-მთავარი დაითხოვს თავის თანამდებობიდან თუ შენიშნა, რომ იგი არა საიმედოა. თუ ეს მართალია მაშ

სამღვდელთაგან აღარაფერი უფლება არ ჰქონებია!.. ჩვენ რა ვიცით სოფლის ხუცებმა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამისთანა რეფორმებით საქმე უკან თუ დაიწვეს თორემ წინ არ წავა. ეშმაკები კი ხომ ყოველთვის იმას მაკადნიობენ, რომ ჩვენი საქმე უკუღმა წავიდეს და ამისათვის სულით და გულით ურჩევ ჩვენს თანამომეტ, სოფლის ხუცებს, რომ სიფრთხილით მოიქცენ და ყოველთვის სახეში იქონიონ სიყვარულობა, ძმობა და სიმართლე. უნდა ასხედეს ყველას რომ „ღრონი ბოროტნი არიან“...

სოფლის ხუცესა.



### მცირე შენიშვნა

გაზეთ „ისარში“ მოთავსებული ბ. ს. ა-ს ღდაურის გამო.

„უმედურება არის, როდესაც ხარაზი მგებურობას იწყებს და მგებურ ხარაზობას“.

ვილაც ს. ა-მ გაზეთ „ისარი“-ს 48 №-ში მოთავსა წერილი შესახებ ჩვენის ეკლესიისა და სამღვდელთაგანისა, რომლითაც (წერილით) ამხედრებს ჩვენს საზოგადოებას ორივეს წინააღმდეგ და ურჩევს მათ მოსპობას.\*) ბ. ს. ა. თავის საგანდასაჯარო ეკლესია და მისი სამღვდელთაგან აქვს აღებული და მსჯელობით კი კათოლიკეების ეკლესიაზე მსჯელობს. ეტყობა, რომ მას არავითარი, ელემენტარული ცოდნაც არა აქვს საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესახებ, თორემ ასე აჩქარებულად არ აუგებდა წესს საქართველოს ეკლესიას და მისს სამღვდელთაგანს. ნუ თუ არ მოეხსენება ბ. ს. ა-ს, რომ რაც კათოლიკეების ეკლესიისა და სამღვდელთაგანის შესახებ შეიძლება ითქვას იმისავე საქართველოს ეკლესიაზე და მისს სამღვდელთაგანზე თქმა სიმართლე არ იქმნება, თუ რომ ეს ასრეა, მაშ რა კავშირი აქვს ქვემოთ ამისა მოყვანილს ს. ა-ს სიტყვებს მისავ წერილის შესავალთან? „რასაკვირველია ჩვენი ეკლესია, ამბობს ს. ა. არ წარმოადგენს

\*) უკაცრავად, ბ. ს. ა. უბრალო მწერალი არ ვახლავთ, დიდი ხანია უნივერსიტეტი დაამთავრა და შესაბამისი იურისტი და პუბლიცისტი... რედ.





გაონაკლს და მეტიც შეგვიძლია ვთქვათ იმის წინააღმდეგ. განსაკუთრებით დასაგმობია ჩვენი ეკლესიის სამღვდელთა მოქმედება უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში, როცა სამღვდელთებამ სხვა თავის სიბოროტეს ისიც დაუმაჯა, რომ შეიქმნა ირალი პოლიციურ მთავრობისა ქართველ ხალხის ეროვნულ დაჩაგრისათვის... საკამისია გავიხსენოთ ზოგიერთი სახელი ქართველ სამღვდელთა წარმომადგენლებისა. უნდა მოგახსენოთ ასეთ ქორსა და ცილის წამებას ძვირით თუ საღმე შეხედვით კაცო, არამც თუ მწერლობაში, არამედ ქუჩაშიაც. მართალია არსებობს ჩვენში ერთი გადაგვარებული ჯგუფი, რომლის ხელობას ქორიკანობა და ცილის წამება შეადგენს და მათ ამისთვის თაფიანთი სვეციალური ბეჭდვითი ორგანოებაც აქვთ; ჩვენ გვევონა გახვთ „ისას“ იმათთან არასფერი საერთო არა ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ ეხლა კი დავრწმუნდით, რომ ამავეში მან წინ თუ არ გაუხსროს — უკან მაინც აღარ ჩამორჩენია!

ბ. ს. ა-ს წერილის სრულიად გასაბათილებლად და საზიზღარი ცილის წამების პირდასაყოფად მივშართით უტყუარს ისტორიულ ფაქტებს. ქრისტიანობამ ჩვენში ის შეუწყვეტილი ქვაკუთხედი დასდო საფუძვლად, რომელზედაც ამოყვანილი იქნა კულტურული შენობა ივერიისა. წყაროდ ქართულ განათლებისა შეიქმნა ქრისტიან სწავლა-მოდერნობა, რომლის გამავრცელებელი ჩვენს სამშობლოში იყო მონასტრები: პალესტინის — იოანე ნათლის მცემლის და საბას ლავრა — სინაიის ულუმბის, ასურეთის, ათონის, ხოლო საქართველოს საზღვრებში: გელათის, ჯრუჟის, ტბეთის, შატბერდის, ბიჭვინტის, იყალთოს, სადაც პირველად დაარსდა უმაღლესი ქართული სასწავლებელი, რომელიც მიიღო განათლება ქართველთა დიდებამ — შოთა რუსთაველმა. მონასტრების, როგორც განმანათლებელის წრეების მნიშვნელობა საქართველოში ჯერ საკმაოდ არ არის დაფასებული; ის ურიცხვი ხელთ-ნაწერები, შესანიშნავნი როგორც შინაარსით ისრე გარეგანი ფორმით, რომელთაც ჩვენამდის მოახწიეს, ჩვენ მონასტრების და სამღვდელთების ღვაწლით არა გვაქვს?

მდებარი ბერები თავის სამშობლოს დასაცველად ზოგჯერ, არამც თუ მართა კალმით იარაღდებოდნენ, არამედ შუბებითაც. ქრისტიან მოძღვრების მქადაგებელი, ხან მხედარი და ხან მწერალი, ხან

ეკლესიის მშენებელი და ახალგაზღვრების აღმზრდელი, ხან ელნი უცხო სახელმწიფოთა კარზე; ძველი სამღვდელთა კულტურისა და თვისის ერის სულის ძლიერების მატარებელი იყო.

რაც შეეხება მქადაგებლობას, ქრისტიან სწავლამოდერნების და საზოგადოთ განათლების ხალხში გავრცელებას, მკონი ეს საცილო საგანს არავასათვის არ უნდა შეადგენდეს და ამაზე ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია თუ კი ბ. ს. ა-ს ჩვენი ეკლესიის და სამღვდელთების წარსული არა სწამს, რა გვაკვირალი იქნება ეხლანდელი სამღვდელთა არა სწამდეს და მის მოსასპობად ხალხს უსისინებდეს? ეს არც გვიკვირს! საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ბ. ს. ა-ს, რომელიც პუბლიცისტობას სწემობს საზოგადო მოვლენის ისტორიული კრიტიკის მიხედვით ახსნავერ შესძლებია. ამას ვინ დასდევს, რომ სამღვდელთებს მისი ნამდვილი ნაკულუფებების სიზოგება აჯერებდეს და ათას ნაირ, ნამდვილ მხირობებს მოკლებულ ბრალსა და ცილს არა სწამებდეს. წარმოიდგინეთ იქამდის აღწევს ს. ა-ს კანდიერებ, რომ ის ჩვენ სამღვდელთებს პოლიციის აგენტობას და ქართველების ეროვნულ ჩაგვრას აბრალეებს. ლიტონი სიტყვით ყოველნაირი საზიზღარის და სისამაგლის დაბრალება შეიძლება, მაგრამ საქმე ბრალდებაში კი არ გახლავთ, არამედ ბრალდების უტყუარ ფაქტებით დამტკიცებაში. ვინ ამბობს, რომ ჩვენი ეხლანდელი სამღვდელთა თავის მოწოდების სიმადლეზე სდგასო? არა, ჩვენ ამას არ ვამტკიცებთ, მაგრამ ამაში ბრალს ვერც მარტო სამღვდელთებს მოვახვევთ თავს! ამისი მიზეზი უკუღმართ ისტორიულ გარემოებებში უნდა ვეძებოთ. ყოველ შემთხვევაში ჩვენმა სამღვდელთებამ, თუ რომ მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ქვეყნისათვის ისრე ვერ იმოქმედა, როგორც სასურველი, იყო ის საზიზღარობანი მაინც არ ჩაუღდნია, რომელსაც მას ბ. ს. ა. ძალის-ძალად, თავს ახვევს. საქართველოს სამღვდელთა პოლიციის აგენტებათ არასოდეს არ ყოფილა და არც ეხლა არის. რაც შეეხება ეროვნულ ჩაგვრას ეს კი ხალხის სიტრუფე გახლავთ; არამც თუ ეროვნული ჩაგვრისათვის მას ხელი არ შეუწყვიტა, პირიქით, რამდენადაც კი ჩვენს გარემოებაში მყოფ დამონებულ ერის მდგომარებაში შესაძლებელი იყო, იგი ეროვნულ თვითშეგნების და თვითცნობიერებას ხელს უწყობდა, როგორც







პირადად თვით, ისრე თვისი შეიღობის სწავლა-აღ-  
ზრდით. სწორეთ ერთ ძველის-ძველ ანდაზას მაგო-  
ნებს ბ. ს. ა. ბრალდება. მაჩაბელმა რაღაც ზნეობის  
წინააღმდეგი დანაშაულობა ჩაიდინა და სასჯელი  
საწყალ გორელ ურიას გადახდევინესო. ეროვნულად  
ქართველი სამღვდლოვება თვითონ იჩაგრებოდა და  
მას კი სხვის ჩაგვირას სწამებენ! ამაზე მეტი უსამა-  
რტობაა გავიანო? ცხენს ვერაიენ მოგვია და  
ლაგამი-უნავირი დაამტვრიანო, სწორეთ ეს გახლავთ!  
იმასაც კი ამბობს ს. ა. თავის აზრის დასასაბუთებ-  
ლად: „საკმარისია, რომ ზოგიერთი სახელები გავი-  
ხსენათ ქართველ სამღვდლოების წარმომადგენლე-  
ბისა და სხვა“... ვინ უნდა გაიხსენოს და დასახელოს  
სამღვდლოთაგან ვერავი, ქვეყნის გამცემელი?  
ფვიქროდ დ—ი და ე—მე ჰყავს სახეში და თუ ეს  
ასრეა, მწარეთ სცდება, რადგანაც არც ერთი მთ-  
ვანი ქართველი სამღვდლოების ნამდვილი წარმო-  
მადგენელი არ ყოფილა და არც იქნებოდა; ისინი  
მთელ სამღვდლოებს მოღალატეობთ მიანდა და  
ქირივით ეგავებოდა, რამაც ორთავენი აიძულა  
სამშობლოდამ გაქცეულიყვნენ. გენათელი და ქუ-  
თათელი მიტროპოლიტები, და ბოდბელი რატომ არ  
მოიხსენა ბ. ს. ა.-მ? ისინიც ხომ ეროვნების მჩაგვ-  
რენი არა ჰგონია მას?

შემდეგ განავრძობს ბ. ს. ა., „მართალია ძლიერ  
განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს სამღვდე-  
ლოებას ცოტა ოდენი ცვლილება დაეკუთვნა... მაგრამ  
მეტად სუსტი გამოდგა სამღვდლოების ამოძრავება,  
მეტად ხან მოკლე იყო მისი სურვილი განთავისუ-  
ფლებისა და როგორც კი რეაქციამ ფეხი მოიდგა,  
სამღვდლოება უცბად დაწყნარდა და მუხლ-მოღ-  
რეკით ეამბორა იმას, ვისაც რამდენიმე დღის წინად  
პროტესტს უცხადებდა... ახლა უფრო გამოძვინდა  
ჩვენი სამღვდლოების დაცეყოლობა, გამოძვინდა,  
რომ ის ჩვენ ცხოვრებაში ბოროტებაა, ბოროტება,  
რომელიც უნდა მოისპოს აღიგაოს“. ნეტავი ვიცო-  
დე ამ სტრიქონების დაწერის დროს სირცხვილ-ნა-  
მუსი ხად წაუვიდა ბ. ს. ა.-ს?

ძლიერმა რეაქციამ არამც თუ სამღვდლოება  
დააყუხა დროებით, არამედ მთელი ქვეყანა შეაშინა  
ტყვიამ და სახრზობელამ! „მუხლთ მოღრეკით ეამ-  
ბორა, ვისაც პროტესტს უცხადებდაო! ვინ ეამბო-  
რა? ამ სტრიქონების დაწერის მოწამეა იმისა, რომ  
ხალხი, მთელი ერი, ტალახში დაჩოქილი ფვიცე-

ბოდა ერთგულებას, ცეცხლისა და მახვილის შიშით,  
თავის სულთა-მუთთაგებს, მაგრამ აქედამ ჩვენ ის არ  
გამოგვეყვას, რომ ხალხმა თავის რწმენას უღალატა-  
თქო. აქედამ ყოველი მიუღლომელი პირი იმას  
გამოიყვანს, რომ ძალ-მომრეობას ბევრი რამ შეუ-  
ძლია და ხშირად თავის სურვილის წინააღმდეგ  
ათამაშებს კერძო პირთა, საზოგადოებათაც და  
ჩვენ სამღვდლოების, რომელიც ერთ წვეთს შეად-  
გენს ერისას. ხად შეგელოთ თავ აშუშებული რეაქცი-  
ისათვის წინააღმდეგობა გეწეო? რატომ ის არა  
ბრძანეთ და დაივიწყეთ ბ. ს. ა. რომ ზოგიერთთ  
თქვენისთანა ხალხის გულშემტკიცებართა ხალხი გა-  
ატყვევს ათასგვარი გადასახადით, და რეაქციის დროს  
თავის საშველად ცხრა მთას იქით მოაკურცხლეს,  
და ნაფცქვენი ფულებიც თან გაიტაცეს და ხალხი  
კი ბელის ანაბარად გაუშვეს? ვინ უდგა მაშინ ხალხს  
გვერდით, თქვენ თუ ის ვაყმაზნები? გრცხვენო-  
დესთ, რომ თავის სილაჩრეს და სიწმინდრეს სხვას  
აწერთ! „ყველაზე უფრო საყურადღებო ისაა, ბრძა-  
ნებს ბ. ს. ა., რომ ამ რეაქციის დროს სამღვდე-  
ლოებამ გამოიჩინა საშინელი მტრობა და სიძულელი  
ხალხისადმი. გახეთქებში იბეჭდება ყოველი კუთხიდან  
გამოგზავნილი წერილები იმის შესახებ, რომ სამ-  
ღვდლოებამ გადააქარბა მემამულეებს და წარმო-  
უდგენელ სასტიკობას ხმარობს დრამის ფულის  
ასაკრებად იწვევენ პოლიციელებს“ და სხვა...

მართალია, ბ. ს. ა. სიმართლეს და ქეშმარი-  
ტებას თქვენთვის, როგორც თქვენნი ხელის-ხელ  
საგომანებელი წერილიდამა სჩანს, ფასი დაკარგუ-  
ლი ჰქონია, მაგრამ მიიღოდ ასე ემაშუსხად ხელის  
აღებად არ შეიძლება! „იცრუვე, მაგრამ საზღვარიც  
იცოდეთო“, ნათქვამია ბრძენისაგან. ლოიკური  
დასკენის სისწორისათვის საჭირო არის სწორნი  
წარსაგზავნი და დასკენაც სწორი და უტყუარი  
იქნება. თქვენა ბრძანებთ, გახეთქებში იწერებოან, რომ  
მღვდლოებმა ესა და ეს ჩაიღინესო. ესლა გკითხავთ,  
იმ ჩიტირეკია კორესპონდენტების მიერ მოწველილი  
ამბების ქეშმარიტება როდის შეამოწმეთ თქვენ,  
რომ აგრე კატეგორიულათ ამტკიცებთ მთელი სამ-  
ღვდლოების უვარგისობას?“ ვთქვათ, თუნდა რამდენ-

\*) თვლისში ერთმა გახეთის რედაქციამ ხუთჯერ  
გამოაცხადა, რომ ნამესტნიკი თანამდებობიდან გადადგა და  
პეტერბურგში წავიდა. თუ ამისთანა პირზე ასეთი ცრუ  
ამბები დაბეჭდეს გაზეთში, რა გასაკვირალია, რომ სამღვდე-  
ლოებაზე, რომელიც ძლიერ დაშორებულია რედაქციასზე ცრუ  
ამბები დაბეჭდონ!.. რედ.



ნიმე მღვდელმა კიდევ მიმართა დრამის ასაღებათ იმ უღირს საშვადებს, რომელზედაც უთითებენ კორესპონდენტები. ნუ თუ აქედან თქვენ შეგიძლიათ ლოდიკურათ დასკვნათ მთელი სამღვდლოების უვარგისობა და მათი მოსპობის აუცილებლობა? იქნება თქვენის ლოდიკით შეიძლებოდეს, და ნამდვილათ კი შეუძლებელია ასეთი დასკვნა. ნუ თუ ისიც არ იცით, რომ რაც კერძოზე ითქმება ის საზოგადოთ არ ითქმება. მაგრამ რა უნდა გელაპაჩაკოთ, თქვენი წერილის ყოველი მკითხველი ნათლათ დაინახავს, რომ თქვენ გნებავს სარწმუნოების და მასთან მთელი სამღვდლოების მოსპობა, ეს ღღესავით ცხადია. ღღეს ქვეყანაზე არ მოიძებნება არც ერთი განათლებული და არც გაუნათლებელი ერთი, რომელშიაც სარწმუნოება არ იყოს, ან მოსპობილიყოს და რაღა ჩვენ, გაუნათლებელმა ქართველებმა, უნდა გამოვიჩინოთ ამაში პირველობა! გიორგიე ბ. ს. ა. თქვენს პირად შეხედულებას და შპზის ხალხს ძალთ ნუ ახვეთ თავს? აკი რწმენის თავისუფლებას თხოულობთ! ჩვენს ხალხს, თქვენდა სამწუხაროდ, ჯერ არ დაუკარგავს სარწმუნოება, ამისათვის ვერც მღვდლებს შეეღვევა, და თუ ვერ შეუღვევა კიდევაც უნდა შეინახოს. ოღონდ, რომ თქვენ და თქვენისთანაებმა, სხვისის სინდისის ძალდატანებას თავი დაანებეთ და დარწმუნებული იყავით, რომ მღვდლები, ვისაც ისინი არ უნდა არასოდეს არ მიეძალებიან. ეკლესიის და სარწმუნოების გარეკ ბევრი რამ არის ჩვენში გასაკეთებელი, თუკი რომ კეთების უნარი შეგწვეთ. მაგრამ უბედურება არის, როდესაც ხარაზი ხაბაზობს და ხაბაზი ხარაზობს!...

მიუგდომელო.



**სახელმწიფო სათათბირო.**

**დებუტატ ზურაბოვის სატყუას გამო.** 16 აპრილს სათათბიროს კარ დახურული სხდომა ჰქონდა. როგორც დებუტატებიდან ვიცით, კრებაზე დიდი აღიარებით მომხდარა დებუტატის ზურაბოვის სიტყვის გამო. სატახტო ქალაქის ვაჭრეები ამ სხდომის შესახებ შემდეგს გადმოგვცემენ.

განსახილველი იყო მთავრობის პროექტი ჯარში

გასაწვევთა რაოდენობის შესახებ მიმდინარე წელს. სამინისტროს კანონ-პროექტი ჯერ კომისიამ განიხილა; კომისიაში უმრავლესობა კანონ-პროექტის დამტკიცებას სცნობდა საჭიროდ, უმცირესობა კი ამის წინააღმდეგი იყო. დახურულს სხდომაზე კომისიის უმრავლესობის სახელით ვრცელი მოხსენება წაითხმა კუხზინ-კარავაევმა. როგორც ამბობენ, მოხსენებაში ის აზრი ყოფილა გატარებული, რომ სათათბირო ჯუაროდ ვერ დასტავებს სახელმწიფოს, რომელიც ჯარმა გარეშე მტრისაგან უნდა დაიცვას. მოხსენებას წინადადება მიუცია სათათბიროსთვის, დაამტკიცოს კანონ პროექტი და შეუტანია ფორმულა მორიგ საქმეებზე გადასასვლელად. ამ ფორმულაში აღნიშნული ყოფილა საჭიროება ჯარის რაოდენობის შემცირებისა, რაც ადვილი განსახორციელებელი უნდა იყოს, რადგან ცხლა ჯარს ჰკრფენ არა მარტო გარეშე მტრისაგან დასაფარავად, არამედ აგრეთვე საპოლიციო მოვალეობათა ასასრულებლად და შინაურ მსახურების გასაწველად. სამხედრო მინისტრ რედიგერს განუცხადებია, მთავრობას განზრახული აქვს მოხსენებაში აღნიშნული ღონისძიებანი განახორციელოს, მაგრამ ერთბაშად ყველაფერი არ გაკეთდებაო. კადეტების სახელით ულაპარაკნია ი. გესსენს. რომელსაც სხვათა შორის აღუწინაშეს, სამხედრო მინისტრს რედიგერს ტყუილია შეაქვს ჭინიარობა და ჰირვეულობა ამ საკითხში; ის გულ-ღინჯად და მშვიდად უნდა იქნას განხილულიო.

ამისდა მიუხედავად დებუტატების ერთ ნაწილს ზურაბოვის სიტყვა ძალიან სწყენია და საშინელი აურ-ზაური აუტეხნია. სამხედრო მინისტრის მოხელენი თავის ადგილებიდან წამომდგარან. ძლივს-ძლივობით მოუხერხებია თავმჯდომარეს კოტა ოდენი სიჩუმის დამყარება და განუცხადებია, რომ ჯარისთვის შეურაცხყოფა არავის არ მიუყენებია, ამასთანავე იმედი გამოუთქვამს, თვით ორატორი ალბად უბრს არ იტყვის ამაზეო.

ზურაბოვის უცლია დამეტიკეპნია, რომ მის სიტყვაში ჯარის შეურაცხყოფა არ ყოფილა. ჩემი სიტყვა სწორედ ვერ გაიგეთო, უთქვამს ზურაბოვს, ხელმეორედ ატეხილა ხმაურობა და ისეთი აურზაური რომ აღარაფრის გაგება თურმე აღარ შეიძლებოდა. მემარჯვენე და ზომიერი დებუტატები ერთად გასულან დარბაზიდან. ამასთანავე ერთად გასულან დარ-





ბაზიდან სამხედრო მინისტრი და სამხედრო მინისტრის მოხელენი. თავმჯდომარე იძულებული ყოფილა, დროებით კრება შეეწყვიტა.

გოლოვინს აცნობეს, რომ ზურაბოვი აუცილებლად კრებიდან დათხოვნილ უნდა იქნას, თორემ სათათბიროს საქმეები ძალიან აიწეწება.

კრების განახლების შემდეგ გოლოვინმა განაცხადა, რომ მან ხელახლა წაიკითხა ზურაბოვის ნალაპარაკეი სტენოგრაფიაში და ეხლა ჰხედავს, რომ ის ისეთ სიტყვებს შეიცავს, რომელნიც სახელოვან ჯარს არ შეეფერებოდა. ამიტომ თავმჯდომარე მესამე შენიშვნას აძლევს ორატორს და სიტყვას ართმევს, ამასთანავე სთხოვს სათათბიროს ხმის ჩამოტარებით გამოსთქვას, იწონებს თუ არა იგი თავმჯდომარის საქციელს.

მემარცხენეები პროტესტს აცხადებენ. ტრიბუნაზე ადის წერეთელი, რალაცას ამბობს, მაგრამ არაფერი არ ისმის. თავმჯდომარე აცხადებს, რომ არავის სიტყვის ნებას არ მისცემს. ბოლოს წერეთელი, როგორც იყო, აცხადებს, რომ ნიშნად პროტესტისა ყველა მემარცხენე ფრაქციები დარბაზიდან მიდიანო. ამის შემდეგ ს. დემოკრატები, ს. რევოლუციონერები, სახალხო სოციალისტები და მშრომელთა ჯგუფი დარბაზსა სტოვებენ. თავმჯდომარე თავის წინადადებას უყრის კენჭს. წინადადებას სათათბირო თითქმის ერთხმად იღებს.

ამით გათავებულია 16 აპრილის კარადახური სხდომა. (სისარი\*).



**იმერეთის მაჰარჩის სამღვდლოების დეპუტატების უპანასწავლი კამპის აღმო.**

(გარკელება\*).

ერთი უმთავრესი საგანი სამღვდლოების კრებისაგან საყურდღებო იყო, არის და იქნება ყოველთვის სანთლის ქარხნის საქმის წარმოება-სამღვდლოების კრება ამ საქმეს დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს, რადგან სანთლის კარგად წარმოებისაგან იმკობიან ეკლესიები და ვრცელდება სანაწიველები და სანაწიველებების წყალობით ვრცელდება განათლება...

\*) იხ. მწეგმის № 6 1907 წ.

ოცდა ხუთი წლის მსახურების შემდეგ განსვენებულმა გაბრიელ ეპისკოპოსმა სამღვდლოების კრებაში სთქვა ერთხელ შემდეგი შესანიშნავი სიტყვა: როცა პირველად დავიარე, სთქვა მღვდელთ მთავარმა, რწმუნებული ჩემდამო ღვთისაგან იმერეთის ეპარქია, ენახე რაჟა და გავიცანი რაჟველები ნამეტნავად ვისიამოვნე და ბევრი მწუხარების განმეტანს გული სიხარულით აღმესო. მე ენახე რაჟაში ისეთი კეთილი ქრისტიანები, რომელნიც პირველი დროის ქრისტიანებს გვანდენ ძმობაში, სიყვარულობაში და ჭეშმარიტ ქრისტიანობაში. არც ჩხუბი, არც მტრობა, არც ქურდობა და არც კაცის-კვლა არავის გაგანია. გადის ოცდა-ხუთი წელიწადი რაც მე მათ უქადაგებ და ვმაცადინობ, რომ კიდევ უკეთესი შექმნილიყვნენ, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი უბედურება, კი არ გაუმჯობესდნენ, არამედ სულ გაოხრდენ! გავრცელდა ქურდობა, მტრობა, შურიანობა და კაცის კვლა ისე გაადვილდა, რომ არაფრად აღარ აგდებენ... მე ვეღარ ვიტყვობ ამ ხალხს. ვინ არ იცის რაჟველების სიწყინარე და სიმშვიდე, მაგრამ ამისთანა მშვიდნი ღღეს რაჟში იშვიათად მიონახებდა. რისი ბრალია ეს? მე ვერ ამისნა თსა და, ვფიქრობ, რომ ჩემი ცოლვის ბრალია!.. უკანასკნელი სიტყვების თქმაზე რცემლებით ავესო თვალები ისე შეწუხებულად წარმოსთქვა. ბოლოს კრებას მისცა დარიგება, რომ იგინი ეცადონ კეთილად ხალხის დამწყყვას, და წაიდი...

არა თუ ოცდა-ხუთი, არამედ სწორედ ორმოცი წელიწადი გადის ავერ რაც სამღვდლოების დეპუტატების მოკმეებით თვალ-ყურს ვადვენებ მეც, მართლა, აღტაცებაში მოვიდილი სამღვდლოების დეპუტატების მსუკელობით, საქმიანობით და მიმართულებით. მაგრამ, სამწუხაროდ, განსვენებული გაბრიელის სიტყვის არ იყოს, არავითარი შედარება არა აქვთ ეხლანდელს სამღვდლოების დეპუტატებს ძველი დროის დეპუტატებთან. გაშტერებული ვარ ეხლანდელი დეპუტატების უკან ხევით. არაფერში არა სნას პროგრესიული წინსვლელობა. დააკვირდით კარგად დღევანდელს სამღვდლოებს და თქვენც უნინიშნავთ ამ სამწუხარო მოვლენას, მე არ შემიძლია, რომ ესეთი სამწუხარო მოვლენა ჩვენს სამღვდლოებაში მივაწერო რომელიმე კაცის ცოდვას. არსებულმა რეგიმმა და 1867 წელში შედგენილმა სემინარის სწავლა-აღზრდის პროგრამამ მო-





ამზად სწორათ ჩვენში ისეთი მოძღვრები როგორისთან უნდოდათ ჩვენ აღმზრდელებს. გარეგნულებს შინაგანებმაც ხელი შეუწყვეს და ისეთი თაობა შესდგა როგორსაც სურდათ. ზოგიერთი ჩვენი განათლებული მღვდლები თავდაპირველად ებრძვიან პირველ ხანებში ამ ცუდ მიმართულებას, მაგრამ თუ პატარა შენაძრავით რამე სრულდებოდა უარს ყოფენ თავის მიმართულებას და თავის ეროვნებასაც; როცა გაამიჯრება მოუმატებენ მაშინ სულ ივიწყებენ თავის მოვალეობას და ჯუღღსმულნი ვარდნიან, თავის ქვეყნისათვის სულ იღუპებიან. წარმოიდგინეთ პირველ ხანებში დებუტატებთან ორი და ხან სამი სემინარიელი თუ იქნებოდა, მაგრამ ყველას რიგინად ეჭირა თავი და არც იმდენი ენატანიობა იყო. დღეს რას ეხედებთ? სოფელში ყოფნა აღარ სურთ წოგიერთ მამებს. ოღონდ ქალაქში დაბნეულენ და რა ხელობაც გინდათ დასაქმეთ, მზად არიან!.. კრებაზე ბევრს ლაპარაკობენ საქმის გაუგებლად, ბევრმა არ იცის თვითონ და არც უჯერის სხვას. თუ უთხარი რამე, გულშინაობით გეტყვის: თავი დამანებეთ, მეც სემინარიაში მისწავლია და ჩემი ამხანაგისაგან მე არას გავისწორებ. ეს ამბარტაუნობა, ეს უცოდინარობა საქმეს აფუჭებს და გვეგონია რომ წინ მივდივართ და ნამდვილად კი უკან ვინებთ. ბოდის ვითხოვ თქვენთან მკითხველო, რომ სავანს მოვშორდით. განვიხილოთ იმერეთის სამღვდლოების კრების მსჯელობა სანთლის ქარხნის შესახებ, რომელიც ჩვენ სამღვდლოებას კარგად დაახასიათებს. მოგვხსენებთ, რომ ერთი უმთავრესი კითხვა, რომელიც სამღვდლოებას ჰქონდა მიცემული გასარჩევად იყო სანთლის ქარხნის საქმის წარმოებისა და ამავე ქარხნისა და საეკლესიო ნივთების, საწყობების ანგარიშების განხილვა. ვაგინეჯოთ როგორ განიხილა ეს საყურადღებო საკვანძო დებუტატების კრებამ. ნაცვლად იმისა რომ ეს საყურადღებო საგანი განეხილა ყველაზე წინ, ორი სამი დღე სრულდებოდა არც ვახსენებიათ. წინანდელი სანთლის ქარხნის მმართველები ოსტატურად გაყუჩდებოდნენ ჭ არავითარ ანგარიშს არ წარმოადგენდნენ კრებაზე, თუმცა ყოველთვის ავალბებდა სამღვდლოება მათ, რომ ვრცელი ანგარიში სანთლისა ეურნალებში დაებეჭდათ, რომ ყველას წინ-და-წინ შეეტყო სანთლის ქარხნის მდგომარეობა და მომზადებული მოსულიყო კრებაზე. როცა სამღვდლოე-

ბას მოთმინება დაეკარგებოდა და შინ დაბარებდა წასვლას მაშინ მიაჩნებდნენ რაღაცა დაბეჭდის და ხშირად ქალღღრღე დაწერილს ანგარიშს. „ანგარიში დამტკიცდეს და მადლობა გამოეცხადოს მართველს“ დაიძახებდნენ და საქმე ამით ვათავდებოდა. ეს მხოლოდ იმ დროიდან როცა მმართველებათ და რევიზორებად კათედრის დეკანოზები ბრძანდებოდნენ თორემ წინეთ როგორ მართებდნენ და ვინ რამდენს მიიერთებდა განა ამაზე კრინტის დაძვრა შექმლო ვისმეს?.. უკანასკნელმა მმართველმა უფარვისი სანთლის ქარხნის ანგარიშის წარმოდგენით სუყველას გადააქრბა ჭ ცალკე უბრალო რვეულზე წარმოადგინა სანთლის ქარხნის ანგარიში, ანგარიში უმგავნა, შეუფერებელი და უკანონო. სამღვდლოების კრებამ ნაცვლად იმისა, რომ საყვედური გამოეცხადებია მმართველისათვის ასეთა ანგარიშისათვის, მადლობა გამოუცხადა!.. ეს გარემოება საკმაოდ ახასიათებს ჩვენი დებუტატების მიმხედურობას. ამაზე დავწვლილებით შემდეგში მოვახსენებთ.

(გაგრძელება იქნება).

დამსწრე.

**შოშილი კახასიაში.**

ყარის ოლქის დებუტატს ათაბეგოს კეკელიძის იდან შემდეგი ცნობები მიუღია სომეხთა შორის შიმშილობის შესახებ:

	რამდენი კომლი გლეხი განიცდის დიდს გასაკიბს.	რამდენი კომლი გლეხი განიცდის ნაკლებ გასაკიბს	რა დაზარებაა საჭირო ფულად.
განჯის მაზრა.	1070	480	158.300 მ.
ყაზახის მაზრა.	860	620	136.600 "
ჯეფანშირ. მაზ.	1066	550	160.580 "
არეშის მაზრა.	527	120	73.800 "
ზანგეზურ. მ.	1400	710	210.400 "
შუშის მაზრა.	1800	830	267.200 "
ნახიჩევან. მაზ.	920	660	146.000 "
ალექსანდ. მაზ.	530	855	79.000 "
შაშურო-დარ მ.	550	50	73.000 "
<b>სულ</b>	<b>8.728</b>	<b>4475</b>	<b>1.304.900 მ.</b>

ციფრების საშუალებით ცნობაში მოყვანა



არსებული უბედურებისა პირველი აუცილებელი პირობაა მისთან საპროლოვებლად. სომხის საზოგადო მოღვაწეებს, როგორც ვხედავთ, თავისი მოვლეობა ხალხის წინაშე ამ მხრივ საკმაოდ პირნათლად შეუსრულებიათ. მათ უკვე დაუსრულებიათ ის საქმე, რომლისთვისაც ქართველ მოღვაწეებს ჯერ ყურიც არ გამოუბერტყნიათ. შემთხვევითი შთაბეჭდილებანი სამეგრელოს დამშუულ სოფლებში მოგზაურებისა, რომელთაც ათასში ერახელ თავისი გრძნობები გაზეთის ფურცლებზე გამოაქვთ გამო-საფენად, სრულიად საქმარისი არაა. აუცილებლად საქირთა სისტემატიურად შეიკრიფოს ცნობები ქართველთა სოფლებში შიმშილობის შესახებ, ისე როგორც უკვე შეუკრებიან ეს ცნობები სომხებს.

ვინ უნდა ითავოს ეს საქმე? ჩვენის ფიქრით ეს პირდაპირი მოვალეობაა აქლად დაარსებულის ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებისა. ამ საზოგადოებას საკმაოდ გავლენიანი პირებიც, რომელნიც მთავრობის ნებართვას ცნობების მოსაკრებლად ადვილად მიიღებენ, და საკმაოდ შეძლება აქვს ამ საქმის გასაძლად. ამ ქვამად, როგორც მკითხველებმა იციან, ადმინისტრაცია თვით იმ ფაქტს უარსყოფს, რომ ქუთაისის გუბერნიის შიმშილობა იყოს. მოგზაურების შ-მთხვევითი შთაბეჭდილებანი და საგაზეთო წერილები ადმინისტრაციის აზრის გასაბათილებლად იმათ თვალში, ვისაც თვალსაჩინო ქონებრივი დახმარების აღმოჩენა შეუძლიანთ, მაინც და მაინც ვერაფერი საბუთია. საქირთა ავტორიტეტული ხმა ავტორიტეტულის დაწესებულების ან ორგანიზაციისა.

გარდა ამისა ყოველად შეუძლებელია დამშუულთათვის დახმარების აღმოჩენა, თუ წინადაც ნაგარაუდვეი არ არის რაოდენობა აუცილებლად საქირთა დახმარებისა და რაოდენობა ამ საქირთებისა თითოეულს სოფელში. ჩვენი ადმინისტრაცია ხელს იბანს და განზე სდგება. მისასაღამე თვით საზოგადოებამ უნდა იზრუნოს დახმარების განხორციელების შესახებაც, საქმარისი არაა მარტო შემოწირულებათა მიღება. საქირთა ამასთანავე პურის გაღმობნა დამშუულთა სოფლებში და მრავალი სხ.

ლიახ! საქირთა, მაგრამ როდის მოიფხვენტენ ნამძინარე თვლებს ქართველი ხალხის ქირისუფლებს. შიმშილი კი არ იცლის. ის უფრო და უფრო მაგრა იკიდებს ფეხს და გზას უკაფავს მშვიერ სიკვდილს.

**მოძრაობა სპარსეთში და ფერეიდანის ძაბთა ველოზა\*)**

რევოლიუცია სპარსეთში განსაკუთრებულ პირობებში ხდება. იქ ხალხი თავით-ფეხამდე შეიარაღებულია და რევოლიუციის მეთაური ანჯაუმბე მტკიცედ და მხნედ ამზობენ საზიზნარ წესებს და ამყარებენ, ახალს ძველის რეჟიმის წარმომადგენელნი ძალზე შეფექტირანა ხალხის მოძრაობაში. მათ ბევრჯელ ხალხთან დააბირეს გამკლავება, მაგრამ, მათა საუბედუროდ, ძალა არ შესწევდა არც მომხრენი ჰყავთ, თითო ოროლის გარდა სპარსეთის პარლამენტო-მეჯლისი—დღეს თუ არა ხვალ გასწყვეტავს კავშირს წარსულთან და ძველის მაღალის კულტურის მქონე ხალხი შესძლებს ვეროპის ცივილიზაციის სპარსეთის ნიდაღზე გადატანას და ცხოვრების გაუფჯოხესებას.

სამოვლებით უნდა აღენიშნოთ, რომ სპარსეთის ფერეიდანის ქართველობა არა თუ მხნედ ჩარეულა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მეთაურობაც კი გაუწევია ფერეიდანისა და თითქმის მთელი ისპანის პროვინციის მცხოვრებთათვის. წინად ფერეიდანის ქართველობა მოგერებითა ბოლიტიკას მიღვედა, ეხლა კი პირდაპირი იერიშიც მიუტანია ადგილობრივ ბიუროკრატიაზე, რასაც შედეგად მოჰყოლია ისპანის მბრძანებელის, ეხლანდელ შაჰის ბიძის ზელე-სულთანის (ნამესტინიკი) თანამდებობიდან გადაყენება და ისპანიიდან გაქეცება.

მოგვხსენებათ, სპარსეთში დღემდე სულ სხვა წესია გუბერნატორის ან სხვა რაიმე თანამდებობის მისაღებად. უფრო ხშირად ეს თანამდებობები ხელში უვარდებათ გაიმეგრა და ხალხის სისხლის მწოველ ვაგებატონებს. გუბერნატორის ადგილის მაძიებელი უშაღლეს მთავრობას აძლევს რამდენსამე ათას მანეთს და ისიც ადგილზე ნიშნავს. ჯამაგირი გუბერნატორის არ ეძლევა და რა თქმა უნდა, ისიც ხალხს ატყავებს. ასევე ჩაუვლან ხელში ფერეიდანის გუბერნატორობა ბახტიარს ტომით, ფათოლა ხანს, მეტ სახელად ზელიამე სელთენას

\*) ამ წერილში მთავარებული ცნობები ამოღებულია ფერეიდანის ოლქის მოველ მარტყოფის მცხოვრების მაღსენ ყალაბეგ წაილის წერილიდან, რომელიც ეხლახან მიიღეს ტფილისში ჩამოსულმა სპარსელთა ქართველებმა. რედ.





(ნიშნავს სულთანის ღობს) 1906 წლის გაზაფხულზე ამ გუბერნატორს (სპარსულად აქიმს) დიდი და აუტანელი შეწუხება მიუყენებია მთელ საგუბერნატოროსთვის. ამასთან ნამეტნიკის-ზელე სულთანისაგან ზურგი გამაგრებული ჰქონია.

ამ გარემოებას ფრთა შეუსხამს ფათოლა ხანი-სათვის და შესდგომია ხალხის წამებას, სულ უბრალო მიზეზი, სადმე გაგონილი ქორი საკმაო ყოფილა, თვითონ სთხავედა მიზეზებს ამა თუ იმ სოფლისგან კერძო პირთა შესახებ და მერე ტყავს აძრობდა. გადასახადს ერთი სამად და ოთხად მეტს აწერდა ხალხს. თუ ვინმე მოკვდებოდა, ნახვარი დარჩენილ საცხოვრებლისა ფათოლა ხანს უნდა წაეღო, დააბრალებდნენ ვინმე შეძლებულ კაცს, შენ ავაზაკობა ჩავიდენიო, და ჯარიმად შეაწერდა 500 მანეთს და მეტსაც. ფათოლა ხანს ეკვი აულია სითიდანის სოფლის უფროს აჯი ასან აღა ხანზე, ვითომ მას ზელე სულთანისთვის საჩივარი უნდა შეეტანოს გუბერნატორზე. დაუპატიმრებია აჯი ასან აღა ხანი და ათი დღის განმავლობაში საშინელი ტანჯვა მიუყენებია. შემდეგ გადაუხდევინებია ათას ორასი თუმანი (სპარსული თუმანი 2 მ. 50 კაპ. უდრის) თონხახლოუს მიწაში (ფერეიდანის ნაწილი) სპარსელების 31 სოფელი აუკლია და შეუწერია უზომო გადასახადები და ჯარიმები. ფათოლახანს 300 შეიარაღებული ქურდი მხლებლად ჰყოლია და მათის მეოხებით აუკლია ეს სოფლები.

გუბერნატორი ამას არ დაკმაყოფილებულა. იგი გურჯისტანში ასულა და ახლა იქ დაუწყია თარეში. სოფელს მარტყოფში დარჩენილა ათ დღეს. 700 თუმანი ჯარიმა გამოურთმევია ამ სოფლის მამასახლისების ალი მირზა ხან ონიკაშვილისა და ხოდარამ ხან ხუციშვილისაგან. თვით სოფელ მარტყოფს გადასახადი შეწერილი ქონია 400 თუმანი, გუბერნატორს კი 8000 თუმანი, ანუ ჩვენებურ ფულად 17,000 მანეთამდე გადაუხდევინებია. ჩაღა დაუბრალებია სოფელ თელავის მცხოვრებთათვის, მისულა, ეფხეკუტია ჩაუყენებია და მთლად გაუნადგურებია სოფელი. სოფელს ვაშლოვანში დაუქერია აჯი რასჟულა და აჯი მიროსენი გოგინაშვილები და მათის სპავარჯულოსათვის 600 თუმანი გადაუხდევინებია ეს სულ იმიტომ, რომ თქვენ უბანში ქურდმა მგზავრკებმა ჩამოიარეს და კარგი მასპინძლობა არ გაუწყვიტებია. ასეთ ძალმომრეობას

ხალხის ფილა აუესია. გუბერნატორს სცოდნია, რომ თარეშს ქართველები არ აპატიებდნენ, ადრე თუ გვიან სამაგიეროს მიუზღავდნენ და ამიტომ ბოლო დროს საუქრებს თურმე უგზავნიდა ხანებს (ოთხი სოფელი აბარია) ალი მირზა ონიკაშვილს და იმის თანაშემწეს ხოდარამ ხუციშვილს, მასიტყვით და სხვებს, რათა მოეღობო მათი გული. მაგრამ ხალხი სამაგიეროს გადახდისთვის ემზადებოდა. მარტყოფის მამასახლისებს ხოდარამ ხანის ხუციშვილისა და ალირზა ხან ონიკაშვილის მეთაურობით მოულოაბრანათ გურჯისტანის და საზოგადოდ ფერეიდანის სხვა ხანებს და გადაუწყვეტით გუბერნატორის დაპატიმრება და გაძევება. შეუტყობინებიათ სოფლის მეთაურებისათვის დანიშნულ დროზე გამოცხადება, მართლაც შეიარაღებულნი მცხოვრებნი გურჯისტანში შეკრებილან. ამ ხალხს გასძლიონ ს. მარტყოფიდან ალიმირზა ონიკაშვილის უფროსი ვაჟი—აყლი ხანი და ხოდარამ ხანი ხუციშვილი, სოფელ აფსილდან — რენი ხანი ქავკავაძე, ქველი მარტყოფიდან—მადსაღა ხანი და მირზა აღა ხანი მესიტაშვილები და ჩაუღლიათ ქურთების სოფლებში. იქ ქართველებს შეერთებიათ თურქები სოფელ ჩაღიგნის უფროსის აჰმად ყული ხანის მეთაურობით, ვაზუნდ სპარსელებიც მიმატებიათ და წასულან სოფელ დარანში თავინათ კეთილის მყოფელ გუბერნატორის დასაპატიმრებლად, ანგარიშის მოსათხოვნელად და შემდეგ გასაძევებლად.

გუბერნატორს გაუგია ეს ამბავი, შეშინებია, აუქრავს თავისი ბარგი ბარხანა და მხლებლებით ისპაჰანში გაქცეულა. შეიარაღებულთა ერთი ნაწილი ონიკაშვილის და ხუციშვილის მეთაურობით გუბერნატორს კვლ და კვლ დაჰდევნიებია, ისპაჰანში გუბერნატორი უნახავთ ზელე სულთანის შვილს აქბარ მირზას სახლში, დაუპატიმრებიათ შემდეგ ისპაჰანის წარმომადგენლებთან ერთად გუბერნატორისთვის ანგარიში მოუთხოვნიათ ქართველებს 8000 თუმანამდე იქვე გადაუხდევინებიათ გუბერნატორისთვის და მარტყოფში გაუგზავნიათ მომავალი წლის გადასახადის გასასტუმრებლად. ისპაჰანელების საერთო კრებაზე გამორკვეულა, რომ გუბერნატორების თვე აშეებულობაში დიდი ბრალი მიუძღოდა სპარსეთის შაჰის ბიძას ოაჰანის ზელე სულთანს. ისპაჰანისა და გურჯისტანის წარმომადგენლებს მარტის პირველ რიცხვებში გადაუ-





წვეტიან, ზელე სულთანის სრულიად გაძევება ისპაჰანიდან და ფერეიდანის გუბერნატორის ფათოლა ხანის დაპატიმრება და საპყრობილეში ჩადგება. წარმომადგენლებს ზღვევითი უცნობებით სპარსეთის მეჯლისისათვის ზელე სულთანის გადაყენება და სრულიად გაწვევა ისპაჰანიდან, რაც, როგორც ღვევებიდან უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, მეჯლისს კიდევ შეუსრულებია. („ისარი“).

**ზაი იმ საზოგადოებას რომლის საქმეც ტინ-ლახ კახეზს ჩაუშვარებათ ხელში.**

დააკვირდით ტფილისის ტრამეის მოძრაობას და მიხედვით თუ რა ტვირთს ლაყე კაცები უნდა მართავდნენ მას. ხარ გაჩერებული ქუჩაში და ელი ფაგონის მოსვლას, მაგრამ სად არის! ერთი მხრიდან მიდის ტრამეაიები, მეორემ მეორე მხრით ერთსაც ვერ ხედავთ. ამ ტვირთს ლაყე კაცებმა ვერ მოახერხეს საქმე ისე, რომ ორივე მხრისკენ იყოს მოძრაობა და კაცი გზაში ნახევარ საათობით არ ყურყურებდეს.

ამისთანა ტვირთს ლაყე კაცები შეადგენენ ხოლმე რკინის გზის მოძრაობის წესსაც კვავსიასი რკინის გზაზე. უყურებ დილით ადრე რკინის გზას ჩემი სახლიდან და ვხედავ, რომ დილის ექვს საათზე მირბის მატარებელი ბათუმისკენ. არ გაიგლის საათი და მირბის მეორე პოეზდი, ნახევარ საათის შემდეგ მირბის მესამე მატარებელი. მორჩა და გათავდა, ჩაილიხა ყველა მატარებლები ბათუმში. აღარ შეგიძლიანთ დილიდან მოკიდებული მეორე დღის დილაშდის წახვიდეთ დასავლეთისკენ. ერთი ფოსტის მატარებელი შეგხვდება საღამოს ცხრა საათზე, რომელშიაც გვერდებს დაგამტვრევენ იმდენი მოგზაურები შეიყრებიან ხოლმე. დაიწყება მოძრაობა ნაშუადღებშიდან და ყველა მატარებლები გაიგლის გათენებამდის. მოხდება ხანდისხან, რომ რომ მოძრაობა რიგიანად დაწყებული არის, საზოგადოება ითხოვს რომ არ შეშალონ ესეთი მოძრაობა. მაგრამ ფულეები უნდათ აიღონ, და ახალ მოძრაობის გეგმას შეადგენენ და ბევრისწილად უსაძაგელეს წინადადებას... რას იზამ? იმათი აზრით ხალხი ხომ რკინის გზისათვის არის გაჩენილი? ამასთან რკინის გზის ბატონები ზოგიერთი

პირების სასარგებლოდ და სასიამოვნოდ ისე ობრულები დანაშაულები მოძრაობას ზოგიერთ განპირადებებში, რომ შეუძლებელი ხდება უკან დაბრუნება და იძულებული ხდება დარჩე და ტყუილია უბრალოდ ხარჯი გასწიო...

სხვაგან, სადაც რკინის გზა ჯერეთ არ არის მაკალინობენ ფოსტის განყოფილება დაარსონ და ტელეგრაფის მავთულები გაშარონ. ჩვენში კი რკინის გზაზედაც უშლიან ტელეგრაფის გაგზავნას. აიღეთ, მაგალითებ, ბაკურიანის რკინის გზა. კარგი ხანია რაც ეს გზა არსებობს. ამ გზის გაყოლებაზე მოგარაკებები არიან. ყოველ საღმურთან, რასაკვირველია, ტელეგრაფისცები არიან და საქმეც არაფერი აქვსთ, მაგრამ რკინის გზის მთავრობისაგან ტელეგრაფის გაგზავნა აკრძალულია... რისთვის? ეს უფალმა უწყის... ტელეგრაფის გაგზავნა თუ ითხოვეთ გეტყვიან ბაკურიანში წადით ან ბორჯომში, თორემ დანაშაულები საღმურებზე აკრძალულია ტელეგრაფის მიღება! ასევე გაჭირვებულია ამ გზაზე ფულის მიღება და ყოველგვარი წერილებისა და კორესპონდენციებისა. სირცხვილი არ არის 34 ვერსის მანძილზე საღმურ ერთ პატარა ფოსტის განყოფილება არ იყოს!.. სირცხვილი არ არის, რომ ტელეგრაფისტებს არაფერი საქმე არააქონდესთ და ტელეგრაფების მიღება აკრძალული იყოს!..

ამბობენ, ბაკურიანის გზას შემოსაფალი არ შემოდის ხარჯის დასაფარავად. საიდან შემოვა ფულეები, როდესაც ამ გზაზე ისეთი ახირებული წესები არის რომლის მსგავს მთელს დღეა მიწაზე არ შეხვდებით? აიღეთ, მაგალითებ, ტარისი საქონლის გადასიდვ—გაღმოსილისა. განა სადმე შეხვდებით ასეთ ტარისს, როგორც ამ გზაზე არსებობს? შეშა მრავალია, მაგრამ ტარისის სიძვირისა გამო ვერ გააქვსთ ბევრი. მასალის ბევრისწილად ურმით უფრო იაფად წაიდებენ ვინც რკინის გზით...

ბილეთების ფასიც ბევრია და საღმურიდან საღმურამდის არ იყიდება, თუმცა ყოველ საღმურებზე აქვსთ ბილეთები. ესურსთ, მაგალითებ და ბაში წასვლა, მაგრამ ორ საღმურზე ტყუილად უნდა გადაიხადო ფულეები. ამისაფრგის უბილეთობა ყოველთვის ბევრია და ზოგიც ფეხით მიდის, მით ნამეტურ, რომ ცემიდან ნიკოლოზის საღმურამდის ქვეითად მოსიარულე უფრო მალე მივა ვინც მატარებელით.





ყველამ კარგად იცის, რომ წერილების გასაზრუნველად უფრო მეტი იყო და ბოლოს შვიდკაპეიკად გახადეს. წარმოიდგინეთ, რომ ფულის შემოსავალმა ბევრად მოიმატა...

რომ პატრონი ყავდეს ბაქურიანის გზას, ტარიფებს დაუწიონ და ბილეთის ფასებსაც დააკლონ ბევრად მეტი შემოსავალი ექმნება ამ გზას, მაგრამ ვინ რას ღაქვებს? ჯამაგირს იღებენ ავამორჩენა კარგი აქვსთ, პატოვი კიდევ მეტი და რა დააკლდებათ რკინის გზას სულაც რომ არა შემოუვიდეს-რა!.. მტოცე ფიცი კი აქვთ მიღებული, რომ უზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ ხაზინს ერთგულებისათვის! სწორად გვეტყვიან ხოლმე: რატომ არაფერს არ იტყვიან, ბატონო, ამ უკანონო საქმეზე, რომ რამე სთქვამთ იქნება ვადაწორონ ეს თავისი შეცდომა?... ჩვენც მხოლოდ ამას ვეუბნებით: ჯოჯოხეთში თქმა ბევრია, მაგრამ გაგონება არ არის და ეს არის კიდევ ჩვენი უბედურება...

დ. დ. დ.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* ტფილისის გუბერნატორს, როგორც ვაგივით განკარგულება მოუხდენია, რომ ამიერიდან მომრიგებელ შუამავლების კანცელარიებს რევიზია უყონ საგლენო საკრებულოს წევრებმა თვითთულმა თავის ნაწილში. („ისარი“)

ამ შენიშვნის დაბეჭდვა მოგაგონებს სწორეთ იმ რედაქტორს, რომელსაც ვაზეთის გასამსგები მისაღები, რომ შემოვლევდა მერე თვითონ გამოიგონებს უცნაურ ამბავს და მით შეავსებს ცალიერ ადგილს. ესეთი განკარგულება განა ახალია? ნუ თუ დღემდის მომრიგებელი შუამავლები უკანტროლოდ მოქმედებდნენ?. მაგრამ, ანკი რომელ დაწესებულებაშია რიგიანი კანტროლი!..

\* \* 20 პარლის თავის თავად გაუქმდა მთავრობის მიერ გამოცემული კანონი სამხედრო-საველდე სახანართლოების შესახებ.

\* \* ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგების ინიციატორობით შემდგარა კომისია, რომელსაც შეუფუ-

შავებია პროგრამა ქართულ ენის სწავლებისა საშუალო სკოლებში. პროგრამა პედაგოგებს სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის წარუდგენიათ და უთხოვინათ შემოიღონ სასწავლებლებში ამ პროგრამის თანახმად სწავლება. მზრუნველმა ესლახან ეს პროგრამა გადასცა ზან ე. თაყაიშვილის და დაავალა გიმნაზიების ქართული ენის მასწავლებელთა დახმარებით მისი ვადათავლიერება და, თუ საჭირო იქნება, ცვლილებათა შეტანა. 19 თებერვალის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში უკვე იყო თათბირი ქართული ენის მასწავლებლებისა, კრებამ საჭიროდ სცნო განსაკუთრებულ კომისიის ამორჩევა. კომისიაში მოჰყენენ დ. კარიჭაშვილი, ი. ფერაძე, ი. აბულაძე, ალექსი მირიანაშვილი, და ზ. გოგობაძე. კრება მეორე დღესაც მოხდა.

\* \* როგორც ვხსოვებოდა ამ ორი წლის წინად ნამესტნიკის განკარგულებით, ა. ე. კიკინაძის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია პირველ დაწყებით სკოლებისათვის პროგრამის შესამუშავებლად. კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამა ამავე წელს წარედგინა სათანადო მთავრობას, რადგან, ნამესტნიკის განკარგულებისამებრ, სამშობლო ენახე სწავლება უნდა დაეწყოთ 1905—1906 სამოსწავლო წლიდანვე. როგორც სარწმუნოდ ვადმოგვეცეს, აღნიშნული პროგრამა დღემდის მაუღ ქვეშადღეს და სწავლა სახალხო სკოლებში ძველის პროგრამით მიმდინარეობს.

\* \* აღდგომის მესამე დღეს ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი გრიგორი პეტერბურგს ვაემგზავრა, სადაც მას ენისკომოსად აკურთხებდნენ. გრიგორი ქართლ-კახეთის ეპარქიის მესამე ქორეპისკოპოსად იქნება ბაქის ეპისკოპოსის სახელმწიფოებით. ამავე დროს ეპ. პეტრემ მიიღო გორის ეპისკოპოსის წოდება, ანუ პირველი ქორეპისკოპოსობა. დაბრუნდება თუ არა პეტერბურგიდან ეპ. გრიგორი, ექსარხოსი ნიკონი პეტერბურგს ვაემგზავრება. როგორც ხმა დღის, ექსარხოსი ეპარქიის გამგეობას ეპისკოპოსს პეტრეს კი არ მიანდობს, როგორც ეს კანონით უნდა იყოს, არამედ ეპისკოპოსს გრიგორს. („ისარი“)

\* \* პეტერბურგე. უმადლესად დამტკიცდა სას. სათათბიროსა და საბჭოს მიერ მოწონებული კანონ-პროექტი ახლად გასაწვევ ჯარის კაცთა რიცხვის შესახებ. ნაბრძანებია, იმპერიის ყველა ადგი-





ლებიდან გაიწვიონ 462,950 კაცი, ხოლო 100 კაცი ოსების ცხენოსანთა დივიზიონში. 23 აპრილს ვასილიევსკის კუნძულის 16 ლინიაზე სახლი დაიწვა, სადაც ხუთი კაცი დაიღუპა.

\* 1 მაისს კრება აქვს დანიშნული ახალ-სენაკში მეგრული სამღვდლოების დებუტატებს. ამ კრებას აქვს წინადადება მიცემული, რომ დააკმაყოფილონ ბ. მასხულია მარტვილის სკოლის შენობის ზარალისაგან. ეს სკოლა მან ააშენა, მაგრამ, როგორც იციან, იგი დაიწვა მარტვილში. სასამართლოებში მასხულიამ ეს საქმე უკვე წააგო. მაგრამ მომხივენი მიიქცა სასულიერო წოდებაში სიმართლის აღსადგენად და სინოდმა გარდაუწყვიტა, რომ სამღვდლოებამ მისცეს მოთხოვნილი ფულები. ნეტავი ვინ მიანიჭა სინოდს და კანტორას იმისი უფლება, რომ საერო სასამართლოებს, წინ გაასწიროს და ფულები მიუსაჯოს მასხულია იქნება იგი თუ დადიანი?..

ასე უკანონოდ მოითხოვა დეკ. ფილიპე ფხაკაძემ ათას ხუთასი მანეთი სასულიერო წოდების მთავრობისაგან, ისეთ ფულებზე, რომელზედაც არა ერთგზის გამოეცხდა უსაფუძვლო თხოვნისთვის უარი. მაგრამ სასულიერო მთავრობამ „აბრუნდი“ უყო კანონებს და 1500 მანეთი სამღვდლოების დაუკითხავად მისცეს მ. ფხაკაძეს სანთლის ქარხნიდან... მასხულია რომ სანთლის ქარხნის მმართველთან მიქცეულიყო, როგორც ეს ფხაკაძემ მოახერხა, და ეთხოვა მღვდლების დაუკითხავად მიეცათ ფულები, მაშინ უფრო ადვილად მიიღებდა... მაგრამ ვინ მისცა მას იმდენი მოხერხება და გამოცდილება რამდენიც მ. ფხაკაძეს აქვს!..

\* \* \* მოხდა რამდენიმე შემთხვევა, რომ მოტყუებით მიიღეს კრებულის ჯამაგირი, როცა სხვას არწმუნებდნენ მის მიღებას. დღეს ხაზინაში საჭიროა რწმუნებულ პირის ჯამაგირის მისაღებად მისცენ მოწმობა თავიანთ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული, რომ სწორეთ ეს რწმუნებულობა ის პირი, რომელსაც არწმუნებენ ფულის მიღებას რომ სხვა პირმა არ ისარგებლოს და არ სთქვას მე ვარ მღვდლის და მედავითნის რწმუნებულობა და ფულები არ წაიღოს. ეს რწმუნება ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული უნდა მიიტანოს ხაზინაში ფულის მიმღებმა.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საწრწმუნოებასა და კეთილცნებობაზე.

## მთორე მცნება.

არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვალდევ მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანასა; არა თაყვანი სცე მათ და არცა მსახრებულებ მათ.

ნეტარნი იყვნენ პირველნი ადამიანნი, ვიდრემდის შესცოლადენენ. მათი საყოფელი იყო ახლად დანერგული შემოქმედისაგან ედემი, მშვენიერი ბალი განცხრომისა, სადაც თვით სხეულის შრომაცა არ შეადგენდა მათთვის მიძიე ტვირთსა, არამედ შემოქმუნდა მას მათ გრძნობაში სიამოვნება. გარეგნობა მათ ეღიმიებოდა, ევალერსებოდა და ატკბობოდა. კაცი გრძნობდა თვის უფლებასა ყველგან, ვიდრემდის იგიცა თვით ემორჩილებოდა შემოქმედსა. გონება, გული და ნება კაცისა მოსილნი იყვნენ ქეშმარტებითა. გონებას ჰქონდა უმადლესი შეგნება, რომლითაც სცნობდა სინამდვილით შემოქმედსა და მის ქმნილებათა; გული სწირავდა იმავე შემოქმედსა სიყვარულის სუნუნებებსა, ხოლო ნება მასვე ემორჩილებოდა და ემსახურებოდა. ასეთი მომდინარობა ცხოვრებისა მრთელი ადამიანის ბუნებისთვის შეადგენდა უკვდავ ნეტარებასა.

მაგრამ ეს მშვენიერი ბუნება ადამიანისა, რომელიცა შექმნა ღვთის სიყვარულმა, ცოდვამ დასცა. დაამცრო და განაცუდა. ამ ბუნების თვისებად შეიქმნენ: სიცრუე, სიძულილი და ურჩობა. თუმცა კაცმა ასე უღალატა თვის ღმერთსა—შემოქმედსა, რითაც აწეო თავისვე თავსა, მაგრამ ღმერთმა შეობრალო ცოდვლი კაცი და აღუთქვა მის წესობვარება. ეს აღთქმა შეიქმნა კაცობრიობითვის





საგნად სარწმუნოებისა, მოლოდინისა და ნუგეშისა. პირველი ადამიანი, ასეთი აღთქმით დაიბედებულნი, განიდევნენ ნეტარების სამოთხიდან. მათი დაცემული ბუნებისგან განმრავლდა კაცთა ნათესაობა. ესაა—ვითარებაში იგი ისე დაეცა გონებით და ზნეობით, ისე გაბოროტდა, ისე დასძლია მის ხორციელმა მხარემ სულიერი მხარე, რომ სრულიად დაივიწყა თვით შემოქმედისა და მისი მაცხოვრების აღთქმაცა. ამისთვის შემოქმედის მართლ-მსაჯულობამ მოსპოა იგი წარღვნითა.

ახლად განმრავლებული მართალი ნათესავან კაცობრიობაც გაიკუნდა და ჩაყარდა კერბთმასხურების ბიწიერებაში. რაც წინდ კაცს ემორჩილებოდა და ემსახურებოდა, რისგანაც იგი სარგებლობდ და ნუგეშობდა, ამას ყოველსა დაემონა თვით კაცი, ეს ყოველი აიყვანა ღვთის ღირსებაზე, მოუღრკია მას თავი და დაუწყა თავყანისცემა. შესწირა გონებით და ზნეობით დაბნელებულმა ქმნილებას ის პატივი, გრძნობა და თაყვანისცემა, რომელნიცა შეშენიან მხოლოდ ღმერთსა, ყოვლისა შემოქმედსა. ცის მნათობნი: მზე, მთვარე და ვარსკვლავნი; სტიქიონი: ცეცხლი, ქერი და სხ, ცხოველნი ხმელეთისა და ზღვისანი, აგრეთვე თვისი ბიწიერებითი გულის-თქმანიცა, ეს ყოველი კაცმა გააღმერთა, შექმნა საგნად პატივისცემისა და მსახურებისა. მათი გამოხატულობა ხისგან, ქვისგან, ოქროსგან, ვერცხლისგან და სხვა. აიყვანა ხელოვნების ხარისხზე, დაიღვა თვის წინაშე, შესწირავდა მას მსხვერპლსა და ვედრების გრძნობასა. ასე გაუკუღმართდა კაცი კერბთმასხურებითა. ქეშმარიტი ღვთის შემოქმედის წინაშე ეს შეადგენს ცრუ ღვთის-მსახურებასა და არის დიდი ბიწიერება. ასეთი ბოროტზნობა, რომელიც იწოდება წარმართობად, არის დაკარგვა ქეშმარიტებისა, დიდი დამცრობა როგორც თვით ადამიანისა, ისე მომეტებულიად შემოქმედის ღირსებისა. რადგანაც ღმერთი არის უზენაესი ქეშმარიტება, ზნეობითი ცხოვრების წესი, მისი სიწმინდის მცველი და მზრუნველი, ამიტომ იგი ვერ დაუტოვებდა უპურადღებოდ ესოდენ დიდ ბიწიერებას ადამიანის ბუნებისასა და წარმოუთქვა მას დიდის უფლებით: „არა ჰქმნე თავისა შენისა კერბი“...

კეთილია ეს მცნება, ადამიანის ბუნებაშიაც მუნ-მყოფი, მაგრამ, სამუხაზოდ, მრავალთა ერთგვან

რჩება იგი შეუენებელი. გარდა ველური ხალხისა, დღესაც იმყოფება კერბთ-მსახურების სიბნელეში, მაგ. სიმრავლე ჩინეთის ერისა, სადაც ვეშაბი ირიცხება მრისხანე და საზარელ ღვთაებად. და შეადგენს ჩინეთის სახელმწიფოს ნიშანსა. მთვარე არის ოსმალეთის ნიშანი, ხოლო ლომა და მზე სპარსეთისა. ეს არის ნაშთი მათი უწინდელი წარმართობისა. დღეს ოსმალეთი და სპარსეთი თუმცა აღვიარებენ ერთ ღვთაებასა, მაგრამ მათ აქო ბნელი ცნობა და წარმოდგენა ღვთის არსებისა, რადგანაც მაცხოვრების მოვლენა არა აქეთ მათ შეწყნარებულნი, იმ მაცხოვრებისა, რომელითაც გამოცხადდა სინამდვილე ღვთის არსებისა, როგორც სამპიროვანი ღვთაებისა, ღმერთი არს ერთი, სამპიროვანი. ეს არის ქეშმარიტი სარწმუნოება, მაცხოვრების მომნიჭებელი, რომელშიაც ესოდენ საჭიროებს ადამიანის ბუნება. ეს სარწმუნოება არის სამკვიდრებელი მხოლოდ ქრისტიანობისა.

მეორე მცნება უკრძალავს ადამიანსა კერბთ-მსახურებასა და არა წმიდანთა ხატთა პატივისცემასა, რომელიც შეადგენს ქრისტიანესთვის მოვალეობასა, როგორც ქეშმარიტება მის სარწმუნოებისა. ხატი და კერბი სრულებით არ არიან ერთი და იგივე. მათში დიდი განსხვავება არის. ხატი არის გამოხატვა ან თვით ქეშმარიტი ღვთაებისა იმ სახით, რომლითაც მან იმოქმედა ქვეყანაზე მაცხოვრების გამოსაცხადებლად ან არის გამოხატვა ან-ველოზთა, ან სახისა წმინდა ადამიანისა, რომელსაც უცხოვრია ქვეყანაზე სიწმინდით და რომლის ცხოვრებაც არის ქრისტიანესთვის ღირსეული მაგალითი მიბაძვისა. წმინდა ადამიანი აქ ქვეყანაზე სიცოცხლის დროს მოკულია ღვთის მადლითა, ხოლო იმ ქვეყანაში მას დამკვიდრებული აქვს სასუფეველი ღვთისა. მის სულში განისვენებს თვით ღმერთი.—ასეთი ადამიანის ხატებადცა მუნ-მყოფი ღვთის მადლი, რის გამოცა ზოგი ხატი, ღვთის ნებთა, არის სასწაულოთ-მომიქმედი. ქრისტიანე არ აღმერთებს ხატსა, არამედ პატივს სცემს მას, როგორც სიწმინდესა. ლოცვისა და ვედრების დროს ქრისტიანე თაყვანსა სცემს არა ფიცარსა, ფერადსა, ოქროსა და ვერცხლსა, რომლითაც ქრისტიანეს გულს-მოდგინება ამკობს ხატსა, არამედ გონებაში იხატავს იმ სულის არსებასა, რომლის ხატის წინეთა ლოცულობს. ამავე დროს მას სწამს, რომ





წმინდა ადამიანის სულსა მინიჭებული აქვს ყოვლად შემძლებელი და ყოვლად სახიერი ღვთისაგან ძალა ვედრების სმენისა: იგი ისმენს ქრისტიანეს ვედრებასა, აღავლენს მას ღვთისადმი და შუამავლობს მის წინაშე ცოდვილი ადამიანისთვის. ასეთი ქვემარტებით მოსილი მნიშვნელობა აქვს ხატსა ქრისტიანთაში. ხოლო თავს ამ ქვემარტებას საფუძველი აქვს როგორც ღვთისა, ისე ადამიანის ბუნებაში: ღვთის ბუნება არის შემოქმედი და მცხოვარი, ხოლო ადამიანის ბუნება არის ქმნილი და ცხონებული, ღვთაებასთან შეერთებული. წმინდა ადამიანის ასეთ ბუნებას ყოველთვის შეუძლიან აღმოუჩინოს ღვთის წინაშე შემწეობა ცოდვილ თანაძმასა.

ხოლო კერპი არის გამოხატულობა რომლისავე ქმნილი ნივთისა ანუ ცხოველისა. კერპთ-მსახურებაში კაცო ივიწყებს ქვემარტ ღმერთსა, რომელიც არის გამგე ცხოვრებისა, მის მაგივრად თავყვანსა სცემს კერპსა და მოვლის მისგან ბედნიერებასა ანუ უბედურებასა. ასეთი გონებით-ზნეობით მღვდამარეობა არის ნამდვილი სიბნელე მის ბუნებისა.

კერპთ-მსახურება არის გარეგანი და შინაგანი. გარეგანი კერპთ-მსახურების მონანი არიან წარმართნი, რომელთაც არა აქვთ ცნობა, არც წარმოდგენა ქვემარტი ღვთისა. ხოლო შინაგან კერპთ-მსახურებას აცხადებს ქრისტიანეცა, როდესაც იგი ემონება მომაკვდავ ცოდვათა, რომელნიც არიან: ურწმუნოება, ადამიანის შეძლება, ავაზაკობა, კაცის მკვლელობა, ავხორცობა, მრუშება და სხვ.—ემონება და კვდება მოუწანიებელი. ბუნება ამისთანა ადამიანისა, როგორც განხრწნილი და მოკლებული სიწმინდესა, წარწყმენილია საუკუნოდ. მწარეა ხვედრი იმ სულისა, რომელიც მოუწანიებლად კვდება ბიწიერებაში და საიქიოსაც გადააქვს ცოდვის ნაღველი...

ა. ბაღუეა.

**საუბრო კითხვის განმარტება.**

მამო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულის „მწყემსის“ საშვალეებით განგვიმარტო შემდეგი კითხვები:

კით. ოდესაც გარეშე მრველიდან შემოუღის საწირავსალოცავი მღვდელს (წელიწადში შემოდის დაახლოვებით 20 მანეთამდე) მედავითნეს ერგება თუ არა იმ ფულიდან მონაწილეობა?

მაგ. თუ მღვდელი თავის ეკკლესიაში ასრულებს წირვას გარეშე მრველისაგან შემოსული ფულითვის და ადგლობითი მედავითნის მსახურებით, რასაკვირველია, თავისი ხვედრი სრულად ერგება მედავითნეს.

კით. ჩვენს საბლალაოინოში მხოლოდ ორი მღვდელი იღებს სამოდგროს თითო მანეთს საწირავიდან, არა მიშხედვილი ამისა ჩემსა მღვდელმა ეს მეორე წელიწადი მიდის დიდბარხვებში რაც ზიარების დროს ფული შემოდის აღარც იმას იძლევა—ეს სამოდგრო ფულიაო, შენ არ გერგება მონაწილეობაო. მერგება რამე აქედგან თუ არა?

მაგ. საწირავის ფული მთლად უნდა გაიყოს და თავის წილი უნდა მიეკეს მედავითნეს და თუ მრველი მისცემს სამოდგროს ზედმეტს ის შეუძლია მღვდელმა მიიღოს. მაგრამ ეს სამოდგრო არავის არ დაუწესებია. დღეს რაღა დაკანონებული და დაწესებულია იმას არ აღწევნ მღვდლებს და არ მჯერა რომ სამოდგრო მისცეს ვინმე?..

კით. სანათლავეში ხანდისხან და ხშირადც მარტო მღვდელს არუქებენ ხოლმე ნათლიები და დიაკონს არა. ნუ თუ არ არი მღვდლები ვალდებული მედავითნეს გაუნაწილოს ესრეთი შემოსავალი?

მაგ. სანათლავეში თუ ცალ-ცალკე არუქებენ მღვდელსა და მედავითნეს იმას უნდა დასჯერდენ ორივენი. თუ მარტო მღვდელს არუქებენ მაშინ ორივემ უნდა გაიყოს და თავთავისი წილი მიიღოს. როდესაც მღვდელი მალავს და არ ატყობინებს მედავითნეს, მაშინ მედავითნეს შეუძლია კითხოს ნათლის და გაიგოს მისგან საჩუქრის რაოდენობა.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაშიძე, 30 აპრილი, 1907 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციის (დეკ. დ. ბ. ლამაშიძის) ყვირილა საკუთარ ხანდში.